საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW-
NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

MES 5 17 01117044

20/09/2017

ირინა გურგენაშვილი

(პ/ნ: 45001036409;
მის.: ქ. თბილისი, საბურთალოსქ.№27, I სართული, ბინა 001
(საქართველოსრეფორმებისასოციაციისოფისი);
ტელ.: 597 00 92 27)

ქალბატონო ირინა,

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2017 წლის 07 სექტემბერს შემოსული თქვენი №1030041 განცხადების პასუხად მოგახსენებთ, რომ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (დანართი №1, შემდგომში - ავტორიზაციის დებულება) 22-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება საბჭოს სხდომის ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში საბჭოს თავმჯდომარისა და საბჭოს მდივნის ხელმოწერებით. საბჭოს სხდომის ოქმის საფუძველზე გამოიცემა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტი, რომელსაც ხელს აწერს საბჭოს თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი. ავტორიზაციის პროცესის საჯაროობისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად, ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის (საბჭოს სხდომის ჩატარების) შესახებ დაინტერესებულ მხარეს ეცნობება ზეპირი მოსმენის გამართვამდე არანაკლებ 7 კალენდარული დღით ადრე. ამასთან, დაინტერესებული მხარე თავადაც იღებს მონაწილეობას ზეპირ მოსმენაში. ავტორიზაციის დებულების 24-ე მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად კი, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომის ოქმი, შესაბამისი გადაწყვეტილება და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საჯაროდ ქვეყნდება ცენტრის ვებგვერდზე, გადაწყვეტილების მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში. ამდენად, ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის გაცნობის შესაძლებლობა აქვს ნებისმიერ დაინტერესებულ პირს ცენტრის ვებგვერდის მეშვეობით.

რაც შეეხება, უშუალოდ, შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯის ავტორიზაციასთან დაკავშირებულ საკითხს, გაცნობებთ, რომ აღნიშნული დაწესებულების დირექტორი ნინო კავთიაშვილი და საფფეთ ბაირაქთუთანი უშუალოდ ესწრებოდნენ

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას და მონაწილეობდნენ ზეპირ მოსმენაში. ცენტრმა ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, უზრუნველყო შპს დემირელის სახელობის კერძო კოლეჯისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების, შესაბამისი ოქმისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის საჯაროდ გამოქყვენება. ამდენად, ეს დოკუმენტები საჯაროა და მათი გაცნობა შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე: <http://eqe.gov.ge/geo/decisions/show/7062>.

პროცედურულ ნაწილთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ ავტორიზაციის დებულების 22-ე მუხლის თანახმად, საბჭოს სხდომა საჯაროა. სხდომის თავმჯდომარე უფლებამოსილია, სხდომა დახურულად გამოაცხადოს მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში. ამასთან, საბჭოს სხდომის აუდიო/ვიდეო ჩაწერა არ მიმდინარეობს. ზეპირ მოსმენაში მონაწილეობენ შესაბამისი დაწესებულების წარმომადგენლები და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრები, ხოლო ცენტრის წარმომადგენლები ან/და სხვა დაინტერესებული პირები უფლებამოსილნი არიან მიიღონ მონაწილეობა საკითხის განხილვაში სხდომის თავმჯდომარის თანხმობით. სხდომის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევა ზეპირ მოსმენაზე, ხოლო ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს განაცხადოს შუამდგომლობა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებათა გამოკვლევასთან დაკავშირებით. სხდომის ოქმი დგება, სწორედ, ზეპირი მოსმენის შედეგად. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ დაინტერესებული მხარე არ იზიარებს საბჭოს გადაწყვეტილებას (სხდომის ოქმი წარმოადგენს გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილს) ავტორიზაციის დებულების 26^1 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი გადაწყვეტილება ავტორიზაციის მაძიებელმა შეიძლება გაასაჩივროს სააპელაციო საბჭოში. დაინტერესებული მხარე ასევე, უფლებამოსილია კანონმდებლობით დადგენილი წესით ისარგებლოს სასამართლოსადმი მიმართვის უფლებით.

პატივისცემით,

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი / იურიდიული სამსახური / სამართალშემოქმედების
სამმართველოს სპეციალისტი / საჯარო ინფორმაციის
გაცემასა და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე
პასუხისმგებელი პირი

ნინო მეგენეიშვილი